

ქალაქ ქუთაისში, ხარებაგას ქუჩა N9ბ საცხოვრებელი სახლის
N72 ბინაზე, მოქალაქე გარიელ ცუცქირიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე გარიელ ცუცქირიძის განცხადება /2011 წლის 05.10 Nც-7915/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხარებაგას ქუჩა N9ბ საცხოვრებელი სახლის N72 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. ქალაქ ქუთაისში, ხარებაგას ქუჩა N9ბ საცხოვრებელი სახლის N72 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გარიელ ცუცქირიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ხარებაგას ქუჩა N9ბ საცხოვრებელი სახლის N72 ბინაზე /საერთო ფართობი 31,77 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 17,67 კვ.მ, დამხმარე ფართობი 14,10 კვ.მ./ მოქალაქე გარიელ ცუცქირიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშვილი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევდორაძე